ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #4

ქ. ზუგდიდი 1 ოქტომბერი, 2019 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, ერთი მხრივ სსიპ-აფხაზეთის #16 საჯარო სკოლის დირექტორის ნანული ბიბლაიას სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი" და მეორე მხრივ ი. მ „აკაკი ჭითანავა" „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანი: სასკოლო ავეჯის დამზადება-წიგნების 2 კარადა და 10 საკიდი თარო.

CPV-391 00000-1200 ლარი.

ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით

2. ხელშეკრულების ობიექტი

მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს სასკოლო ავეჯი-წიგნების კარადა 2 (ორი) ცალი

და 10 საკიდი თარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3. 1. შესყიდვის მიწოდების თარიღად ითვლება-20 ნოემბერი

3.2. საქონლის მიწოდების ადგილი: *ქ. ზუგდიდი,*

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრის საკუთარ ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი"

4.3. „შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოდ შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

5.1.1. გადაუხადოს „მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი;

5.1.2. მიიღოს ნაყიდი ქონება.

5.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

5.2.1. უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.3.1. გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში.

5.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

5.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1200 (ერთიათასორასი) ლარი (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით).

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო

7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): *საქონლის მიღების შემდეგ სამი დღე.*

7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტი ანგარიშ-ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ კვირისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,2 პროცენტის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე „შემსყიდველის“ მხრიდან ახორციელებს ბუღალტერი ე. კაჭარავა.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდება, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 1 ოქტომბერიდან 2019 წლის 30 დეკემბრამდე.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტურად

12.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლობის ხელმოწერით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ ს/კ 251 723997

სსიპ-აფხაზეთის #16 საჯარო სკოლა

ა/ა სს „საქართველოს ბანკი“ ა/ა GE39BG0000000120444000

ბანკის კოდი: BAGAGE22

სკოლის დირექტორი

„მიმწოდებელი ი. მ „აკაკი ჭითანავა“

„პროკრედიტბანკი“ ა/ა GE17PC0173600100014801

ბანკის კოდი MIBGGE22

მიღება-ჩაბარების აქტი- # 4

თბილისი

ოქტომბერი 2019 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი, ერთის მხრივ სსიპ- აფხაზეთის #16 საჯარო სკოლის დირექტორი ნანული ბიბლაია (შემდგომში - შემსყიდველი) ს/კ 251723997 და მეორეს მხრივ, ი. მ აკაკი ჭითანავა სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი), წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს ხელშეკრულება # 4 თანახმად მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა შეისყიდა სასკოლო ავეჯი 2 კარადა და 10 საკიდი თარო, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 1200 (ათასორას) ლარი;

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რასაც ვეთანხმებით და ვადასტურებთ ხელმოწერით:

შემსყიდველი:

სსიპ-აფხაზეთის #16 საჯარო სკოლა
ს/კ: 251723997
ბანკი სს „საქართველოს ბანკი"

დირექტორი ნანული ბიბლაია

„მიმწოდებელი:

„მიმწოდებელი ი. მ „აკაკი ჭითანავა"
„პროკრედიტბანკი" ა/ა
GE17PC0173600100014801
ბანკის კოდი MIBGGE22